

1961/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს

# უწყებები



№ 17 (140)

20 ივნისი

1961 წელი

## ზ ი ნ ა რ ს ი

**სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები**

### ბანყოფილება პირველი

- 257. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ნ. რუდნევის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავდაცვითი ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის — სსრ კავშირის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
- 258. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ნ. რუდნევის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.
- 259. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ვ. სმირნოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავდაცვითი ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ კავშირის მინისტრად დანიშვნის შესახებ.

### ბანყოფილება მეორე

- 260. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ფერადი მეტალურგიის მუშაკათათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
- 261. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის თ. ვ. ტოკარევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 262. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ვაზეთ „კრასნაია ზეფუნდას“ შთაქარ რედაქტორის გენერალ-მაიორ ნ. ი. მაკეევის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
- 263. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.
- 264. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.

265. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკის პ. პ. პოლუბოიაროვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
266. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პიატნიცკის სახელობის სახელმწიფო რუსული ხალხური გუნდის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
267. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პიატნიცკის სახელობის სახელმწიფო რუსული ხალხური გუნდის შემოქმედებითი მუშაკებისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

#### ბანყოფილება მისამი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.  
კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებში.

### საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

#### ბანყოფილება პირველი

268. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
269. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული მედიკოსის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ.
270. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული მედიკოსის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ.
271. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყვეის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ.
272. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ.
273. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას.

#### ბანყოფილება მეორე

274. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**257** ამხ. პ. ნ. რუდნევის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავდა-  
ცვითი ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის —  
სსრ კავშირის მინისტრის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:  
გათავისუფლდეს ამხ. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე რუდნევი სსრ კავ-  
შირის მინისტრთა საბჭოს თავდაცვითი ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის  
თავმჯდომარის — სსრ კავშირის მინისტრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 10 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**258** ამხ. პ. ნ. რუდნევის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომ-  
არის მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეც-  
ნიკურ-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომი-  
ტეტის თავმჯდომარედ დაინიშნის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:  
დაინიშნოს ამხ. კონსტანტინე ნიკოლოზის ძე რუდნევი სსრ კავშირის მი-  
ნისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და სსრ კავშირის მინისტრთა საბ-  
ჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის  
თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 10 ივნისი.



**259** ამხ. ლ. ვ. სმირნოვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავდა-  
ცვითი ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ —  
სსრ კავშირის მინისტრად დანიშნვის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დანიშნოს ამხ. ლეონიდე ვასილის ძე **სმირნოვი** სსრ კავშირის მინისტრთა  
საბჭოს თავდაცვითი ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ — სსრ  
კავშირის მინისტრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრძანავი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 10 ივნისი.

### ბანუოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**260** ფერადი მეტალურგიის მუშაკთათვის სოციალისტური შრომის  
გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ფერადი მეტალურგიის განვითარებაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმა-  
ტებებისათვის მიენიჭოთ სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეთ  
ლენინის ორდენი და ოქროს მედალი „ნამგალი და ურო“:

1. პეტრე გრიგოლის ძე **ბურკოვს** — სვერდლოვსკის სახალხო მეურნეო-  
ბის საბჭოს კიროვგრადის სპილენძსადნობი კომბინატის უფროს მეკონვერტეს.

2. მუხიტ კულჯანის ძე **ბუბუქანოვს** — ყარაღანდის სახალხო მეურნეობის  
საბჭოს ჯეზკაზგანის სამთო-მეტალურგიული კომბინატის ჯეზკაზგანის მაღაროს  
დირექტორს.

3. ალექსანდრე ფილიპეს ძე **ვაგანოვს** — ბურიატიის სახალხო მეურნეო-  
ბის საბჭოს ჯიდის ვოლფრამ-მოლიბდენის კომბინატის ექსკავატორის მემან-  
ქანეს.

4. გრიგოლ დიმიტრის ძე **ვერხოტუროვს** — ირკუტსკის სახალხო მეურნე-  
ობის საბჭოს „ლენოქროს“ ტრესტის „დრაჟინის“ საბადოს უფროს დრავერს.

5. კირილე გრიგოლის ძე **ვილკოტს** — მაგადანის სახალხო მეურნეობის  
საბჭოს „ბურხალის“ საბადოს ექსკავატორის მემანქანეთა ბრიგადირს.

6. იოსებ ტიმოთეს ძე **ვლასოვს** — იაკუტიის სახალხო მეურნეობის საბ-  
ჭოს „იაკუტოქროს“ ტრესტ „ლენინსკის“ საბადოს ბრიგადირ-დრავერს.

7. მიღბატ ისმაილის ძე **გაბიტოვს** — ბაშკირეთის სახალხო მეურნეობის  
საბჭოს ბაშკირეთის სპილენძ-გოგირდის კომბინატის ექსკავატორის მემანქანეს.

8. პეტრე ვასილის ძე **გლუშკოვს** — სვერდლოვსკის სახალხო მეურნეობის  
საბჭოს პიშმის სპილენძელექტროლიზური ქარხნის მეელექტროლიზეთა ბრი-  
გადირს.

9. ივანე დიმიტრის ძე გრეშნევი — მოსკოვის საქალაქო სახალხო მეურნეობის საბჭოს მოსკოვის ალუმინის შენადნობთა ქარხნის მდნობელს.
10. მიხეილ ვასილის ძე დომინიჩი — ყაბარდო-ბალყარეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს ტირნიაუზის ვოლფრამ-მოლიბდენის კომბინატის მმურღავს.
11. ვლადიმერ ვასილის ძე დროზდოვი — კრასნოიარსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ნორილსკის ა. პ. ზავენიავინის სახელობის სამთო-მეტალურგიული კომბინატის დირექტორს.
12. ივანე ვასილის ძე ელისევი — სვერდლოვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს სევეროურალსკის ბოქსიტის მადარობის დირექტორს.
13. პეტრე მათეს ძე შარნაკოვი — ყარაღანდის სახალხო მეურნეობის საბჭოს ბალხაშის სამთო-მეტალურგიული კომბინატის მეტალურგიული საამქროს უფროს ოსტატს.
14. ილია მიტროკეის ძე შერნოსევი — სამხრეთ ყაზახეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს აჩისაის მრავალლითონიანი კომბინატის გვირაბგამყვანთა ბრიგადირს.
15. ვასილ ნესტერის ძე ზაპადნევი — უზბეკეთის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ალტინ-ტოპკანის კომბინატის ექსკავატორის მემანქანეს.
16. ბორის თევდორეს ძე ზვერევი — ვლადიმირის სახალხო მეურნეობის საბჭოს კოლჩუგინის ორჯონიკიძის სახელობის ფერადი ლითონის დამუშავების ქარხნის მვალცავს.
17. გრიგოლ პეტრეს ძე ივანტჩენკო — სტალინის სახალხო მეურნეობის საბჭოს ნიკიტოვსკის ვერცხლისწყლის კომბინატის გვირაბგამყვანს.
18. არმაკ შამირის ძე კაზარიანი — სომხეთის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ალავერდის სპილენძქიმიური კომბინატის უფროს მდნობელს.
19. სტეფანე თევდორეს ძე კონონოვი — სვერდლოვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ბოგოსლოვსკის ალუმინის ქარხნის მეელექტროლიზეთა ბრიგადირს.
20. სევერიან ივანეს ძე კოსტიაევი — მურმანსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს „სევერონიკელის“ კომბინატის სარაფინირებელი საამქროს უფროს მელუმელს.
21. ნიკოლოზ სვირიდონის ძე კრივობოვი — სვერდლოვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს დეგტიარსკის სპილენძის მადაროს გვირაბგამყვანს.
22. ვიქტორ იოსების ძე კულჩიტსკი — კრასნოიარსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს სორსკის მოლიბდენის კომბინატის ექსკავატორის მემანქანეს.
23. ნიკოლოზ გაბრიელის ძე ლიდოვსკი — ზღვისპირეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს „სიხალის“ კომბინატის მნგრეველთა ბრიგადირს.
24. ივანე ტიხონის ძე მატვიენკო — ორენბურგის სახალხო მეურნეობის საბჭოს მენდოგორსკის სპილენძ-გოგირდის კომბინატის უფროს ოსტატს.
25. სტეფანე ილიას ძე მარკოვი — ჩელიაბინსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს უფალეის ნიკელის ქარხნის შახტური ღუმელების უფროს ჩამტვირთავს.
26. კონდრატე ბარნაბის ძე მაწკებლაძე — იაკუტიის სახალხო მეურნეობის საბჭოს ინდიგირკის სამთო-სამრეწველო სამმართველოს მთავარ ინჟინერს.

27. ივანე იაკობის ძე **მოგუტოვს** — ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს ვოლხოვის ს. მ. კიროვის სახელობის ალუმინის ქარხნის მეცლექტროლიზეთა ბრიგადირს.

28. ვასილ ვასილის ძე **მუზიჩენკოს** — ზაპოროჟიის სახალხო მეურნეობის საბჭოს დნეპროვსკის ს. მ. კიროვის სახელობის ალუმინის ქარხნის უფროს ოსტატს.

29. ვასილ სერგის ძე **ოვჩინიკოვს** — ორენბურგის სახალხო მეურნეობის საბჭოს „იუჟურალნიკელის“ კომბინატის უფროს მეღუმელეს.

30. ნიკოლოზ მიხეილის ძე **პანკრატოვს** — ჩიტის სახალხო მეურნეობის საბჭოს „ბალიეოქროს“ კომბინატის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს.

31. ივანე ვედოკიმის ძე **პენკინს** — მაგადანის სახალხო მეურნეობის საბჭოს „ადიგალიახის“ საბადოს სამთო-საექსპლუატაციო უბნის უფროსს.

32. ვასილ ივანეს ძე **პეტროვს** — სვერდლოვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ურალსკის ალუმინის ქარხნის მეცლექტროლიზეთა ბრიგადირს.

33. ბორის ვასილის ძე **პლოტნიკოვს** — აღმოსავლეთ ყაზახეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს ლენინგოროსკის მრავალლითონიანი კომბინატის გვირაბ გამყვანთა ბრიგადირს.

34. სიმონ თევდორეს ძე **პლაქსენკოს** — კემეროვოს სახალხო მეურნეობის საბჭოს ბელოვოს თუთიის ქარხნის უფროს მდნობელს.

35. დულატბეკ **რახიმბერგენოვს** — სამხრეთ ყაზახეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს ჩიმკენტის მ. ი. კალინინის სახელობის ტყვიის ქარხნის სადნობი სამაქროს ღუმელების ბრიგადირს.

36. ივანე იოსების ძე **რიაპოხოვს** — პერმის სახალხო მეურნეობის საბჭოს სოლიკამსკის მაგნიუმის ქარხნის მეცლექტროლიზეთა ბრიგადირს.

37. პავლე ალექსანდრეს ძე **საფუტინს** — სვერდლოვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს სევეროურალსკის ბოქსიტის მადარობის გვირაბამყვანთა ბრიგადირს.

38. სერგი ისაკის ძე **სერდაკოვს** — კრასნოიარსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ნორილსკის ა. პ. ზავენიაგინის სახელობის სამთო-მეტალურგიული კომბინატის ნიკელის ქარხნის უფროს ოსტატს.

39. ვასილ ივანეს ძე **სიზინცევს** — კემეროვოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სტალინსკის ალუმინის ქარხნის მეანოდეს

40. აგლულა გიბატის ძე **სუფიანოვს** — აღმოსავლეთ ყაზახეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს ზირიანოვსკის ტყვიის კომბინატის მასლიანსკის მადაროს გვირაბამყვანთა ბრიგადირს.

41. ლეონიდე პეტრეს ძე **ტუზოვს** — ყარაღანდის სახალხო მეურნეობის საბჭოს ჯეზკაზგანის სამთო-მეტალურგიული კომბინატის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს.

42. დიმიტრი მაქსიმეს ძე **ტიხონენკოს** — მურმანსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს „პეჩენგანიკელის“ კომბინატის მნგრეველს.

43. ანა გიორგის ასულ **ფედოროშიჩევას** — სვერდლოვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს სრედნეურალსკის სპილენძსადნობი ქარხნის უფროს ჩამტვირთავს.



44. ვასილ ალექსის ძე ფილატოვს — ჩირდილოეთ ოსეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს „ელექტროთუთის“ ქარხნის ოსტატ-მდნობელს.

45. ქადიმ აბჩარის ძე შაინლისლამოვს — ჩელიაბინსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს ყარაბაშის სამთო-მეტალურგიული კომბინატის მნგრეველთა ბრიგადირს.

46. დიმიტრი ანტონის ძე იარუსოვს — სვერდლოვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს კრასნოურალსკის სპილენძსადნობი კომბინატის უფროს მდნობელს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ზრემშვიძი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ზიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 9 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**261** ტაქნიკურ მეცნიერებათა დოქტორის თ. მ. ტოკარევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ოთხმოცდაათი წლისთავის გამო და ტექნიკის დარგში მისი დიდი დამსახურების აღსანიშნავად, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი თევდორე ვასილის ძე ტოკარევი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ზრემშვიძი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ზიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 13 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**262** გავით „კრასნაია ზემზდას“ მთავარი რედაქტორის ზენერალ-მაიორ ნ. ი. მახავევის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის გავით „კრასნაია ზემზდას“ მთავარი რედაქტორი გენერალ-მაიორი ნიკოლოზ ივანეს ძე მახავევი დაჯილდოებულ იქნას წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ზრემშვიძი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ზიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 13 ივნისი.



**263** საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორ-  
დენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სარდლობის დავალების შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

წითელი ვარსკვლავის ორდენით

1. ზემდეგი მიხეილ თევდორეს ძე აწაროვი.
2. უფროსი ლეიტენანტი პეტრე ნიკიტას ძე ბოგდანი.
3. უფროსი ლეიტენანტი ვიქტორ ივანეს ძე ბოლდირევი.
4. მაიორი ათანასე სიმონის ძე გაჯრიუტინი.
5. ლეიტენანტი ვიქტორ ალექსანდრეს ძე გორელიკი.
6. სერჟანტი პეტრე ბენედიქტეს ძე ზალანი.
7. ლეიტენანტი ევგენი ვლადიმერის ძე მალოფეევსკი.
8. უფროსი ლეიტენანტი ანატოლ დიმიტრის ძე მონინი.
9. რიგითი ვიქტორ ლეონტის ძე პოპოვი.
10. კაპიტანი პავლე სტეფანეს ძე ულიანოვი.
11. უფროსი ლეიტენანტი პეტრე პავლეს ძე შჩერბინა.

მედლით „მამაცობისათვის“

1. რიგითი იური ნიკოლოზის ძე გორბუნოვი.
2. რიგითი სიმონ ბენედიქტეს ძე ეფიმოვი.
3. რიგითი მიხეილ პეტრეს ძე კონდრატენკო.
4. ეფრეიტორი გარნიკ გევორგის ძე მადოიანი.
5. უმცროსი სერჟანტი ივანე ნიკოლოზის ძე პუშკოვი.
6. რიგითი ანატოლ ფილიპეს ძე შოტინი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“

1. ეფრეიტორი იური პოდოსის ძე პატვაკანიანი.
2. უმცროსი სერჟანტი ლევ ვასილის ძე იაკოვლევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ვიორბაძე.





**264** სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო მოსამსახურეთა კავშირის ორდენითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სარდლობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნან:

წითელი ვარსკვლავის ორდენით

უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე სიმონის ძე პეტრენკო.

მედლით „მამაცობისათვის“

1. ეფრეიტორი სტანისლავ იონას ძე კლოვიშჩისი.
2. ეფრეიტორი ვალერი ივანეს ძე პოსტნიკოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 13 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**265** სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკის პ. პ. კოლუბოიკის ორდენით ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების სამოცი წლისთავის გამო და საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის სატანკო ჯარების გენერალ-პოლკოვნიკი პავლე პავლეს ძე კოლუბოიკოვი დაჯილდოებულ იქნას წითელი ვარსკვლავის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 15 ივნისი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**266** პიატნიცკის სახელობის სახელმწიფო რუსული ხალხური გუნდის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაარსების ორმოცდაათი წლისთავის გამო, აგრეთვე საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურების გათვალისწინებით, პიატნიცკის სახელობის სახელმწიფო რუსული ხალხური გუნდი დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორბაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 15 ივნისი.



## 267 პიატნიცკის სახელობის სახელმწიფო რუსული ხალხური გუნდის შემოქმედებითი მუშაკებისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

პიატნიცკის სახელობის სახელმწიფო რუსული ხალხური გუნდის დაარსების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად, მიენიჭოთ სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდება:

1. პეტრე მიხეილის ძე **კაჟმინს** — რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, პიატნიცკის სახელობის სახელმწიფო რუსული ხალხური გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელს.

2. ტატიანა ალექსის ასულ **უხტინოვას** — რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო არტისტს, პიატნიცკის სახელობის სახელმწიფო რუსული ხალხური გუნდის მთავარ ბალეტმეისტერს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ლ. ბრეჟნევი**.  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. გიორგაძე**.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 15 ივნისი.

### ბანუოფილება მისამე

#### სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ფერადი მეტალურგიის განვითარებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 9 ივნისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ფერადი მეტალურგიის მუშები, ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაკები — სულ 2513 კაცი.

**ლენინის** ორდენით დაჯილდოებულია 246 კაცი, **შრომის წითელი დროშის** ორდენით — 627, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 789, მედლით „**შრომითი მამაცობისათვის**“ — 518 და მედლით „**შრომითი წარჩინებისათვის**“ — 333 კაცი, მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკაში:

#### შრომის წითელი დროშის ორდენით

ალიხან კაიტკის ძე **ხუგაევი** — კვასის ტყვია-თუთის მალაროთსამართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.

#### „საპატიო ნიშნის“ ორდენით

ნიკოლოზ ანდრიას ძე **შომახია** — თბილისის სპილენძსაგლინავი ქარხნის უფროსი ოსტატი.



გერსან ვიქტორის ძე ზაგაევი — კვაისის ტყვია-თუთის მალაროთსამშენებლო თველოს ზემო კვაისის მალაროს მთავარი ინჟინერი.

\* \* \*

პიატიციკის სახელობის სახელმწიფო რუსული ხალხური გუნდის დაარსების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურების აღსანიშნავად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1961 წლის 15 ივნისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა გუნდის 28 შემოქმედებითი მუშაკი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, გუნდის სოლისტი ვ. ე. კლადინა; შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული არიან: რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, კონცერტმეისტერი ა. ი. ვოევოდინი; რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, საცეკვაო ჯგუფის სოლისტი ა. ა. კლიმოვი; რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, საცეკვაო ჯგუფის სოლისტი მ. ი. მოსკვიტინა; გუნდის მსახიობი ა. კ. პეტროვი და რუსეთის სფს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, საცეკვაო ჯგუფის სოლისტი ი. ს. ტურჩინკოვი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოებულია 6 კაცი და მედიით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 16 კაცი.

**სსრ კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიეზში**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებმა 1959 წლის ოქტომბერში გამოაქვეყნეს პროექტი კანონისა საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების შესახებ, აგრეთვე ამხანაგური სასამართლოების სანიმუშო დებულების და არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის სანიმუშო დებულების პროექტები.

გამოქვეყნებული კანონპროექტების ფართო განხილვამ საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებში, აგრეთვე კომისიებში შემოსულმა მოქალაქეთა, საზოგადოებრივი და სახელმწიფო ორგანიზაციების მრავალრიცხოვანმა წერილებმა ცხადყვეს, რომ წინადადებები საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების შესახებ, ამხანაგური სასამართლოების მოქმედების შემდგომი განვითარების შესახებ, კოლექტივების მიერ იმ პირების თავდებობაში აყვანისა და ხელახლა აღზრდის შესახებ, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს სასამართლოს მცირემნიშვნელოვანი დარღვევა, საესებით მოიწონა მთელმა საბჭოთა საზოგადოებრიობამ.

აღნიშნული კანონპროექტების განხილვის დროს გამოთქმული იყო დადებითი იმის შესახებ, რომ ეს კანონპროექტები განიხილონ და მიიღონ კავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოებმა ადგილობრივ ბუროებათა გათვალისწინებით.

საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებმა, განიხილეს რა ეს წინადადება, მიიღეს გადაწყვეტილება გადასცენ აღნიშნული კანონპროექტები განსახილველად მოკავშირე რესპუბლიკების საკანონმდებლო ორგანოებს.

## საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ბანყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 268 საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

გამომდინარე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 24 თებერვლის, 25 მარტის, 5 და 18 მაისის ბრძანებულებებიდან, რომლებიც ითვალისწინებენ სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ კანონში და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში დამატებებისა და ცვლილებების შეტანას, აგრეთვე 1961 წლის 24 მაისის ბრძანებულებიდან, რომელიც აწესებს გეგმების შესრულების ანგარიშგებაში წამატებისა და სხვა დამახინჯებისათვის პასუხისმგებლობას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. მუხლი 24 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 24. სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება—სიკვდილით დასჯა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების სახით, მის სრულ გაუქმებამდე, დაშვებულია სიკვდილით დასჯის — დახვრეტის გამოყენება სამშობლოს დამტყანისათვის (მუხლი 65), ჯაშუშობისათვის (მუხლი 66), ტერორისტული აქტისათვის (მუხლები 67, 68), დივერსიისათვის (მუხლი 69), ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78), ყალბი ფულისა და ფასიანი ქაღალდების გასაღების მიზნით დამზადებისა ან გასაღებისათვის, რაც ხელობადაა გადაქცეული (88 მუხლის მეორე ნაწილი), განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 104 და 258 მუხლის „გ“ პუნქტი), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გან-



საკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისათვის (მუხლი 96), ხოლო ომიანობის დროს ან საბრძოლო ვითარებაში — სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებებისათვის, იმ შემთხვევებში, რომლებიც სპეციალურადაა გათვალისწინებული სსრ კავშირის კანონმდებლობით.

სიკვდილით დასჯის — დახვრეტის გამოყენება დაშვებულია აგრეთვე განსაკუთრებით საშიში რეციდივისტებისა და იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან მძიმე დანაშაულებებისათვის და რომლებიც ტერორით აშინებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმრებს, ან აწყობენ თავდასხმებს ადმინისტრაციაზე, ან ამ მიზნით ქმნიან დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ ასეთ დაჯგუფებებში (მუხლი 181).

სიკვდილი არ შეიძლება მიესაჯოს იმ პირს, რომელსაც დანაშაულის ჩადენამდე არ შესრულებია თვრამეტი წელი, და ქალებს, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს ან განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ორსულად არიან. სიკვდილით დასჯა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ქალის მიმართ, რომელიც განაჩენის აღსრულების მომენტისათვის ორსულად არის“.

2. 44-ე მუხლის პირველ პუნქტს სიტყვების შემდეგ „ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78)“ დაემატოს სიტყვები „შრომა-გასწორების დაწესებულებების მუშაობის დეზორგანიზაციისათვის (მუხლი 781)“, სიტყვების შემდეგ „ყაჩაღობისათვის (96 და 152 მუხლები)“ — დაემატოს სიტყვები: „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისათვის (მუხლი 96)“.

ამავე მუხლს დაემატოს პუნქტი მეოთხე შემდეგი შინაარსისა:

„4) პირი, რომელიც საპატიმრო ადგილებში სასჯელის მოხდისას ჩაიდენს განზრახ დანაშაულს, მიუხედავად მის მიერ ადრე ჩადენილი დანაშაულისა“.

3. 46-ე მუხლის მეხუთე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„გაითვალისწინებს რა საქმის გარემოებებს, დამნაშავის პიროვნებას, აგრეთვე დამნაშავის სამუშაო ადგილიდან საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მუშათა, მოსამსახურეთა, კოლმეურნეთა კოლექტივების შუამდგომლობას მისთვის პირობითი მსჯავრის დადების შესახებ, სასამართლოს შეუძლია გადასცეს ამ ორგანიზაციებს ან კოლექტივებს პირობით მსჯავრდებული ხელახლა აღზრდისა და გამოსწორებისათვის“.

4. მუხლი 54 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 54. სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით

თუ მსჯავრდებულმა, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელი სამუშაო, გადასახლება, გასახლება ან სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა, სანიმუშო ყოფაქცევით და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დაამტკიცა თავისი გამოსწორება, მის მიმართ სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს, სასჯელის დანიშნულ ვადის სულ ცოტა ნახევრის ფაქტიურად მოხდის შემდეგ, სასჯელისაგან ვადამდე პირობით გათავისუფლება ან სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით. ამასთან მსჯავრდე-

ბული შეიძლება გათავისუფლდეს აგრეთვე შემდეგი სახის დამატებითი სასჯელის სახით: გადასახლების, გასახლების ან გარკვეული თანამდებობის კავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების ჩამორთმევისაგან.

ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის სულ ცოტა ორი მესამედის ფაქტიურად მოხდის შემდეგ იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან შემდეგი დანაშაულისათვის:

მასობრივი არეულობისათვის (მუხლი 80),

მიმოსვლის გზებისა და სატრანსპორტო საშუალებათა განზრახ დაზიანებისათვის (მუხლი 87),

კონტრაბანდისათვის (მუხლი 79),

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დიდი ოდენობით დატაცებისათვის (91 მუხლის მესამე ნაწილი, 92 მუხლის მესამე ნაწილი, 93 მუხლის მესამე ნაწილი და 94 მუხლის მესამე ნაწილი).

განზრახ მკვლელობისათვის (მუხლი 105),

სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის (მუხლი 110),

გაუპატიურებისათვის, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ ან იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი ასეთივე დანაშაული (117 მუხლის მეორე ნაწილი)

ქრთამის აღებისათვის (189 მუხლის პირველი ნაწილი);

წინასწარი შეცნობით უდანაშაულო პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისათვის (192 მუხლის მეორე ნაწილი);

წინასწარი შეცნობით უკანონო განაჩენის გამოტანისათვის, რომელსაც მძიმე შედეგი მოჰყვა (193 მუხლის მეორე ნაწილი);

სპეკულაციისათვის დამამძიმებელ გარემოებაში (165 მუხლის მეორე ნაწილი);

ქურდობისათვის, ძარცვისათვის, თაღლითობისათვის, რაც ჩადენილია განმეორებით (91 მუხლის მეორე ნაწილი, 92 მუხლის მეორე ნაწილი, 93 მუხლის მეორე ნაწილი, 150 მუხლის მეორე ნაწილი, 151 მუხლის მეორე ნაწილი, 153 მუხლის მეორე ნაწილი);

ბოროტი ხულიგნობისათვის (228 მუხლის მეორე ნაწილი);

დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი უფროსისადმი წინააღმდეგობის გაწევის ან იძულებისათვის, რათა მან დაარღვიოს თავისი თანამდებობრივი მოვალეობა (258 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები);

უფროსის მიმართ ძალადობისათვის (მუხლი 260).

თუ იმ პირმა, რომლის მიმართ გამოყენებული იყო ვადამდე პირობით გათავისუფლება, სასჯელის მოუხდელი ნაწილის განმავლობაში ჩაიდინა ახალი იმავე გვარის ან არა ნაკლებ მძიმე დანაშაული, სასამართლოს შეუძლია ახალი დანაშაულისათვის დანიშნულ სასჯელს მთლიანად ან ნაწილობრივ მიუმატოს წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი, რისთვისაც იხელმძღვანელებს ამ კოდექსის 42 მუხლში დადგენილი წესებით.

ვადამდე პირობით გათავისუფლება და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შეცვლა უფრო მსუბუქი სასჯელით არ გამოიყენება:

1) განსაკუთრებით საშიში რეციდივისტების მიმართ (მუხლი 44);

2) იმ პირების მიმართ, რომლებიც აღრე ვადამდე პირობით გათავისუფლებულ იქნენ თავისუფლების აღკვეთისაგან, ან რომელთაც სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალათ უფრო მსუბუქი სასჯელით, თუ მათ სასჯელის მოუხდელი ვადის გასვლამდე ჩაიდინეს ახალი განზრახი დანაშაული, რომლისთვისაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა;

3) იმ პირების მიმართ, რომლებიც მსჯავრდებული არიან განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულისათვის (65-74 მუხლები), ბანდიტიზმისათვის (მუხლი 78), ყალბი ფულის ან ფასიანი ქალაღების დამზადებისა ან გასაღებისათვის (მუხლი 88), სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისათვის (მუხლი 89), სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებისათვის (მუხლი 96<sup>1</sup>); განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ გარემოებებში (მუხლი 104), გაუპატიურებისათვის, რასაც მძიმე შედეგები მოჰყვა, ან არასრულწლოვანის გაუპატიურებისათვის (მუხლი 117 მეორე და მესამე ნაწილი); ყაჩაღობისათვის (96 და 152 მუხლები), ქრთამის აღებისა და მიცემისათვის ან მექრთამეობაში შუამავლობისათვის, რაც ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში (189 მუხლის მეორე ნაწილი და 190 მუხლის მეორე ნაწილი)“.

5. განსაკუთრებული ნაწილის პირველ თავს „სახელმწიფო დანაშაული“ დაემატოს 78<sup>1</sup> მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხლი 78<sup>1</sup>. მოქმედებანი, რასაც დეზორგანიზაცია შეაქვს შრომაგასწორების დაწესებულებათა მუშაობაში

განსაკუთრებით საშიში რეციდივისტები, აგრეთვე მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებული პირები, რომლებიც ტერორით აშინებენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გამოსწორების გზაზე დამდგარ პატიმრებს ან აწყობენ თავდასხმებს ადმინისტრაციაზე, აგრეთვე ქმნიან ამ მიზნით დანაშაულებრივ დაჯგუფებებს ან აქტიურად მონაწილეობენ ასეთ დაჯგუფებებში, —

ისჯებიან თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თხუთმეტ წლამდე ან სიკვდილით“.

6. 88-ე მუხლს დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„იგივე მოქმედება, ჩადენილი ხელობის სახით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“.

7. მუხლი 89 ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 89. სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა

სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა, აგრეთვე სავალუტო ფასეულობების ან ფასიანი ქალაღებით სპეკულაცია —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან რვა წლამდე, ქონების კონფისკაციით ან კონფისკაციის გარეშე სავალუტო ფასეულობების სიანი ქალაქების აუცილებელი კონფისკაციით და გადასახლებით ვადით. ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე.

სავალუტო ფასეულობებით ან ფასიანი ქალაქებით სპეკულაცია ხელობის სახით ან დიდი ოდენობით, აგრეთვე სავალუტო ოპერაციების შესახებ წესების დარღვევა იმ პირის მიერ, რომელიც ადრე ამ მუხლის პირველი ნაწილით იყო მსჯავრდებული, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით და გასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გასახლების გარეშე“.

8. 65, 66 მუხლებს, 67 მუხლის პირველ და მეორე ნაწილს, 68 მუხლის პირველ და მეორე ნაწილს, 69, 70, 78, 79 მუხლებს, 88 მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების შემდეგ „წლამდე, ქონების კონფისკაციით“, 71 მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების შემდეგ „შვიდ წლამდე“, 71 მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების შემდეგ „ათ წლამდე“, 72 მუხლს სიტყვების შემდეგ „რვა წლამდე“, 87 მუხლს სიტყვების შემდეგ „თხუთმეტ წლამდე“, დაემატოს სიტყვები „და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე“.

9. განსაკუთრებული ნაწილის პირველ თავს — „სახელმწიფო დანაშაული“ — დაემატოს 90<sup>1</sup> მუხლი შემდეგი შინაარსის:

**„მუხლი 90<sup>1</sup>. სახელმწიფო დანაშაულის დაფარვა**

წინასწარი შეპირების გარეშე დაფარვა იმ სახელმწიფო დანაშაულის, რაც ვათვალისწინებულა ამ კოდექსის 65 — 70, 73, 78, 79, 88, 89 მუხლებით,—

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ხუთ წლამდე და გადასახლებით ვადით ორიდან ხუთ წლამდე ან გადასახლების გარეშე, ან ისჯება გადასახლებით ვადით ხუთ წლამდე“.

10. განსაკუთრებული ნაწილის მეორე თავს „დანაშაული სოციალისტური საკუთრების წინააღმდეგ“ დაემატოს 96<sup>1</sup> — მუხლი შემდეგი შინაარსისა:

**„მუხლი 96<sup>1</sup>. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება**

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება, მიუხედავად დატაცების ხერხისა (91—94, 96 მუხლები), —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე, ქონების კონფისკაციით ან ისჯება სიკვდილით ქონების კონფისკაციით“.

11. 91 და 150 მუხლების შენიშვნებში 96 მუხლზე მითითების შემდეგ დაემატოს მითითება „96<sup>1</sup>“ — მუხლზე.

12. განსაკუთრებული ნაწილის მეექვსე თავს „სამეურნეო დანაშაული“ დაემატოს 163<sup>1</sup> — მუხლი შემდეგი შინაარსისა:

**„მუხლი 163<sup>1</sup>. წამატება და სხვა დამახინჯება გემის შესრულების ანგარიშგებაში**



წამატება სახელმწიფო ანგარიშგებაში და გეგმების შესრულების შესახებ სხვა განზრახ დამახინჯებული საანგარიშგებო მონაცემების წარდგენა, არღონის გორც სახელმწიფო საწინააღმდეგო მოქმედება, რაც ზიანს აყენებს სახალხო მეურნეობას, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე“.

13. 205 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვების შემდეგ „თავისუფლების აღკვეთა სამ წელზე ნეტი ვადით“ და მეორე ნაწილში სიტყვების შემდეგ „თავისუფლების აღკვეთა ათი წლით და მეტი ვადით“ დაემატოს სიტყვები „(გარდა ამ კოდექსის 90<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებისა)“.

14. 206 მუხლში სიტყვები „დიდი ოდენობით“ შეიცვალოს სიტყვებით „დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით“; ფრჩხილებში სიტყვების შემდეგ „94 მუხლის მესამე ნაწილი“ დაემატოს სიტყვები „მუხლი 96<sup>1</sup>“.

11. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. მუხლი 32 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 32 ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს და ავტონომიური ოლქის სასამართლოს ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეები ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს და ავტონომიური ოლქის სასამართლოს ქვემდებარე სისხლის სამართლის საქმეები იმ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 65, 67—78<sup>1</sup>, 80, 82 ნაწ. მეორე, 85, 86 ნაწ. პირველი, 87—90<sup>1</sup>, 104, 160, 163<sup>1</sup>, 192—195 მუხლებით“.

2. 88 მუხლში 89 მუხლზე მითითების შემდეგ დაემატოს „90<sup>1</sup>“, ხოლო 96 მუხლზე მითითების შემდეგ დაემატოს „96<sup>1</sup>“.

3. 126 მუხლში 65—90 მუხლებზე მითითების ნაცვლად ჩაიწეროს „65—90<sup>1</sup>“, 96 მუხლზე მითითების შემდეგ ჩაიწეროს „96<sup>1</sup>“, ხოლო 161 მუხლის შემდეგ ჩაიწეროს „163<sup>1</sup>“; სიტყვები „161 პირველი ნაწილი“ შეიცვალოს სიტყვებით „116 მეორე ნაწილი“.

4. 375 მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს მითითება 65—74, 78, 96, 104 და 152 მუხლებზე; 117 მუხლზე მითითების შემდეგ ჩაიწეროს სიტყვები „გაუპატიურება, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ ან იმ პირის მიერ, რომელსაც წინათ ჰქონდა ჩადენილი ასეთივე დანაშაული“; 189 მუხლზე მითითების შემდეგ ჩაიწეროს სიტყვები „პირველი ნაწილი“.

5. 376 მუხლის მეორე ნაწილში 78 მუხლზე მითითების შემდეგ ჩაიწეროს „78<sup>1</sup>“, 87 მუხლზე მითითების შემდეგ ჩაიწეროს „88 მუხლის მეორე ნაწილი და 89 მუხლის მეორე ნაწილი“, ხოლო 96 მუხლზე მითითების შემდეგ ჩაიწეროს „96<sup>1</sup>“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიანოვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 31 მაისი.



# 269 „საქართველოს სსრ დამსახურებული მეღვინის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ

1. დაწესდეს „საქართველოს სსრ დამსახურებული მეღვინის“ საპატიო წოდება.

2. „საქართველოს სსრ დამსახურებული მეღვინის“ საპატიო წოდება მიენიჭებათ მაღალკვალიფიციურ მეღვინეებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 20 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეღვინეობის განვითარების საქმეში, გააუმჯობესეს ღვინის ხარისხი, შექმნეს ახალი სამარკო ღვინოები, ღვინის წარმოებაში დანერგეს მოწინავე ტექნოლოგია, აქვთ დიდი დამსახურება მეღვინეთა კადრების აღზრდის საქმეში და აგრეთვე შექმნეს მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომები მეღვინეობის დარგში.

3. საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულების I განყოფილებას დაემატოს სიტყვები „საქართველოს სსრ დამსახურებული მეღვინე“, ხოლო ამავე დებულების II განყოფილებას ამ ბრძანებულების მე-2 პუნქტი 21-ე პუნქტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე**.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ბაღდაშვილი**.

ქ. თბილისი, 1961 წლის 5 ივნისი.

# 270 „საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ

1. დაწესდეს „საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორის“ საპატიო წოდება.

2. „საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორის“ საპატიო წოდება მიენიჭებათ რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის ექსპლუატაციის, მშენებლობის, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების წყალთა მეურნეობების მაღალკვალიფიციურ ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არანაკლებ 15 წლისა და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით წყალთა მეურნეობის განვითარების საქმეში.

3. საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულების პირველ განყოფილებას დაემატოს სიტყვები: „საქართველოს სსრ დამსახურებული მელიორატორი“, ხოლო ამავე დებულების მეორე განყოფილებას ამ ბრძანებულების მე-2 პუნქტი 22-ე პუნქტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწანიძე**.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ბაღდაშვილი**.

ქ. თბილისი, 1961 წლის 7 ივნისი.

**271** „საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ

1. დაწესდეს „საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევის“ საპატიო წოდება.

2. „საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევის“ საპატიო წოდება მიენიჭება სატყეო მეურნეობების, სანერგეების, ქარსაცავების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, სამეცნიერო-საკვლევით და საპროექტო დაწესებულებების, ტყის მოწყობის და სხვა სატყეო-სამეურნეო ორგანიზაციების მაღალკვალიფიციურ მეტყევე სპეციალისტებს, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არა ნაკლებ 15 წლისა და თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვით რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის განვითარების საქმეში.

3. საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულების პირველ განყოფილებას დაემატოს სიტყვები: „საქართველოს სსრ დამსახურებული მეტყევე“, ხოლო ამავე დებულების მეორე განყოფილებას ამ ბრძანებულების მე-2 პუნქტი 23-ე პუნქტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **წ. ჯაღლიაშვილი**.

8658

ქ. თბილისი, 1961 წლის 8 ივნისი.

**272** „საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ


1. დაწესდეს „საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის“ საპატიო წოდება.

2. „საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარის“ საპატიო წოდება მიენიჭება ბიბლიოთეკების დირექტორებსა და გამგეებს, ბიბლიოთეკარებს, ბიბლიოგრაფებს, აგრეთვე ინსპექტორებსა და მეთოდისტებს საბიბლიოთეკო საქმეში, რომლებმაც სპეციალობის მიხედვით იმუშავეს არა ნაკლებ 15 წლისა და განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პრაქტიკული საქმიანობით.

3. საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულების პირველ განყოფილებას დაემატოს სიტყვები „საქართველოს სსრ დამსახურებული ბიბლიოთეკარი“, ხოლო ამავე დებულების მეორე განყოფილებას ამ ბრძანებულების მე-2 პუნქტი 24-ე პუნქტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **წ. ჯაღლიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1961 წლის 10 ივნისი.



**273** იმ პირების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს პრიღებენ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას და მწევიან ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას

საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, წარმატებით აწეებს კომუნიზმს. ამ გრანდიოზულ შემოქმედებით შრომაში მთელი ენერგიით მონაწილეობენ საბჭოთა ადამიანები. მათი საგმირო საქმეები, მათი თავდადებული შრომა და ცოცხალი ინიციატივა მსოფლიოს გაოცებას იწვევს და წარმოადგენს დაუშრეტელ წყაროს ახალი შრომითი წარმატებების მისაღწევად. საბჭოთა კონსტიტუციამ ყველასათვის უზრუნველყო შრომის უფლება, რომელსაც წარმატებით იყენებს საზოგადოების ყოველი შეგნებული წევრი, რადგან ჩვენს ქვეყანაში, სადაც დიდი ხანია აღიარებულია პრინციპი „ენც არ მუშაობს, ის არც ჭამს“, შრომა წარმოადგენს ღირსების, დიდებისა და მამაცობის საქმეს.

საბჭოთა ადამიანები ეწევიან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში, საკოლმეურნეო მიწდვრებზე, სამეცნიერო, სასწავლო და სხვა დაწესებულებებში, ოჯახში, იცავენ საბჭოთა კანონებს და პატივისცემით ეპყრობიან სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს.

მაგრამ, ქალაქად და სოფლად ჯერ კიდევ არიან ცალკეული პირები, რომლებსაც ჯიუტად არ სურთ პატიოსნად იშრომონ. ასეთი ადამიანები ხშირად მოსაჩვენებლად ეწყობიან სამუშაოზე, ხოლო ფაქტიურად ცხოვრობენ არაშრომითი შემოსავლით და მდიდრდებიან სახელმწიფოს ხარჯზე, მშრომელთა ხარჯზე, ან, არიან რა შრომისუნარიანები, საერთოდ არსად არ მუშაობენ, ეწევიან აკრძალულ რეწვას, კერძო მეწარმულ საქმიანობას, სპეკულაციას, მათხოვრობას, იღებენ არაშრომით შემოსავალს პირადი მანქანების ექსპლუატაციით, სააგარაკო და მიწის სხვა ნაკვეთებიდან, იყენებენ დაქირავებულ მუშახელს, აწარმოებენ სახლების, აგარაკების მშენებლობას არაშრომითი გზით ნაშოვნი სახსრებით, იყენებენ რა ამ მიზნით უკანონოდ შეძენილ სამშენებლო მასალებს, და ჩადიან სხვა ანტისაზოგადოებრივ საქციელს. კოლმეურნეობებში ამგვარი პირები, სარგებლობენ რა კოლმეურნეთათვის დაწესებული შეღავათებით, თავს არიდებენ პატიოსან შრომას, ხდიან შინაურ არაყს, ეწევიან პარაზიტულ ცხოვრებას, არყევენ შრომის დისციპლინას და ამით ზიანს აყენებენ არტელის მეურნეობას.

ამ პირების ასეთ პარაზიტულ არსებობას, როგორც წესი, თან სდევს ლოთობა, მორალური გახრწნა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოების სხვა მერყევ წევრებზე.

ანტისაზოგადოებრივი პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება, ვიდრე ეს სამარცხვინო მოვლენა მთლიანად აღმოიფხვრებოდეს ჩვენს საზოგადოებაში, ასეთი პირების ირგვლივ შეუწყნარებლობისა და საყოველთაო გაკიცხვის გარემოს შექმნით.

ბავალისწინებს რა მშრომელთა მრავალრიცხოვან სურვილებს ანტისაზოგადობრივი ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, საქალაქო თელოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს, რომ სრულწლოვანი შრომისუნარიანი მოქალაქენი, რომელთაც არ სურთ შეასრულონ მნიშვნელოვანი კონსტიტუციური მოვალეობა, — პატიოსნად იზრომონ თავისი უნარის მიხედვით, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, იღებენ არაშრომით შემოსავალს მიწის ნაკვეთების, ავტომანქანების, საცხოვრებელი ფართობის ექსპლუატაციით ან ჩადიან სხვა ანტისაზოგადობრივ საქციელს, რაც მათ პარაზიტული ცხოვრების საშუალებას აძლევს, გასახლებული უნდა იქნან რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებით ან მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში ვადით ორიდან ხუთ წლამდე, არაშრომითი გზით მოპოვებული ქონების კონფისკაციით, გასახლების ადგილას შრომით საქმიანობაში აუცილებელი ჩაბმით.

ზემოქმედების ასეთივე ზომები გამოიყენება აგრეთვე იმ პირების მიმართ, რომლებიც თვალის ასახვევად ეწყობიან სამუშაოდ საწარმოებში, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში ან ითვლებიან კოლმეურნეობებში წევრებად და, სარგებლობენ რა მუშების, კოლმეურნეებისა და მოსამსახურეების შეღავათებითა და უპირატესობებით, სინამდვილეში არყუვენ შრომის დისციპლინას, ეწვევიან კერძომეწარმულ საქმიანობას, ცხოვრობენ არაშრომითი გზით მოპოვებული სახსრებით ან ჩადიან სხვა ანტისაზოგადობრივ საქციელს, რითაც პარაზიტული ცხოვრების საშუალება ეძლევათ. ეს ზომები ინიშნება, როგორც რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებით, ისე საზოგადოებრივი განაჩენით, რომელიც გამოაქვთ მშრომელთა კოლექტივებს საწარმოებში, საამქროებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და საკოლმეურნეო ბრიგადებში.

საზოგადოებრივ განაჩენს გასახლების შესახებ ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა.

იმ შემთხვევებში, როცა საქმის გარემოებათა გამო საჭიროა გადაწყდეს საკითხი არაშრომითი გზით მოპოვებული ქონების კონფისკაციის შესახებ, საქმე მთლიანად ექვემდებარება არსებითად განსახილველად რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილება ან საზოგადოებრივი განაჩენი გასახლების შესახებ გამოიტანება მას შემდეგ, რაც პირი, რომელიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა, მიუხედავად საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან სახელმწიფო ორგანოების გაფრთხილებისა, მათ მიერ დაწესებულ ვადაში არ დაადგა პატიოსანი შრომითი ცხოვრების გზას.

2. იმ პირთა გამოვლინება, რომელიც ეწვევიან ანტისაზოგადობრივ პარაზიტულ ცხოვრებას და ყველა იმ გარემოებათა შემოწმება, რომლებიც ამას

ეხება, წარმოებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა კოლექტივების, მილიციისა და პროკურატურის ორგანოების მეშვეობით ხელთარსებული მასალების მიხედვით. შემოწმების დამთავრების შემდეგ პროკურორის სანქციით მასალა ეგზავნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს ან მშრომელთა კოლექტივს განსახილველად.

3. იმ პირის შესახებ მასალების შემოწმებისა და განხილვის დროს, რომელიც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა, თუ მის მოქმედებაში დადგენილი იქნება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, ასეთი პირის შესახებ საქმე იგზავნება პროკურატურის ორგანოებში.

4. როგორც მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება, ისე რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილება იმ პირის მიმართ, რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევა ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას, საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

5. მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებები, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს დადგენილებები, აგრეთვე საზოგადოებრივი განაჩენები გასახლების შესახებ მათი აღმასკომის მიერ დამტკიცების შემდეგ, სისრულეში მოიყვანება მილიციის ორგანოების მიერ.

იმ პირებს, რომლებიც გასახლების ადგილებში თავს არიდებენ შრომას, მილიციის ორგანოების წარდგენით რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლები მიუსჯიან გამასწორებელ სამუშაოებს ხელფასიდან 10 პროცენტის დაკავებით; ხოლო იმ შემთხვევებში, როცა გამასწორებელ სამუშაოებსაც არიდებენ თავს, სასამართლოს შეუძლია შეუტკვალოს მათ სასჯელი თავისუფლების აღკვეთით იმ წესით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 28 მუხლის მე-6 და მე-7 ნაწილებით. გამასწორებელი სამუშაოების ან თავისუფლების აღკვეთის მოხდის დრო გასახლების ვადაში არ ჩაითვლება.

გასახლების ადგილიდან ან ამ ადგილას გაგზავნის დროს გზიდან გაქცევა ისჯება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 204 მუხლის შესაბამისად.

6. თუ ის პირი, რომელიც გასახლებული იყო, სანიმუშო ყოფაქცევით და შრომისადმი პატიოსანი დამოკიდებულებით დამტკიცებს თავის გამოსწორებას, შეიძლება გასახლების ვადის არანაკლებ ნახევრის გასვლის შემდეგ, გათავისუფლებულ იქნას ვადამდე საზოგადოებრივი ორგანიზაციების შუამდგომლობით გასახლების ადგილის მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ან რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოს მიერ გასახლებულის წინანდელი საცხოვრებელი ადგილის მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობით.



7. დაველოს საქართველოს სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილება ამ ბრძანებულებიდან გამომდინარე საჭირო ღონისძიებათა ხორციელების შესახებ.

8. ამ ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 5 სექტემბრის ბრძანებულება „ანტისაზოგადოებრივი, პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ზ. კოჭანიძე**.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ბაღვაშივილი**.

ქ. თბილისი, 1961 წლის 14 ივნისი.

**ბანყოფნა მემო**

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**274** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საკაბიო სიხალით დაჯილდოების შესახებ

(გაგრძელება)

- 532. ივანე გიგოს ძე **კეჭეყმაძე** — მახარაძის რაიონის სოფელ შემოქმედის კოლმეურნეობის წევრი
- 533. ყარამან ალფესის ძე **კეჭეყმაძე** — პენსიონერი, ლანჩხუთის რაიონი
- 534. არსენ ნიკოლოზის ძე **კვანტალიანი** — პენსიონერი, გუდაუაის რაიონი
- 535. სარდიონ პეტრეს ძე **კვანტალიანი** — გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნაგვაზაოს კოლმეურნეობის წევრი
- 536. გრიგოლ კონსტანტინეს ძე **კვანტალიანი** — პენსიონერი, ქ. თბილისი
- 537. ლუკა ანტონის ძე **კვარაცხელია** — კოლმეურნე, წალენჯიხის რაიონი
- 538. ქიში უსას ძე **კვარაცხელია** — პენსიონერი, წალენჯიხის რაიონი
- 539. ერემია მიხეილის ძე **კვაჭანტირაძე** — პენსიონერი, ქ. თბილისი
- 540. შალვა უშანგის ძე **კვაჭაძე** — პენსიონერი, ლანჩხუთის რაიონი
- 541. იაკობ სიმონის ძე **კვაჭაძე** — პენსიონერი, ქ. ფოთი
- 542. ალექსი ივანეს ძე **კვიატკო** — პენსიონერი, ქ. სოხუმი
- 543. ამირან სოლომონის ძე **კვინტრაძე** — პენსიონერი, ჩოხატაურის რაიონი
- 544. მატრონე გიორგის ასული **კვიციანი** — პენსიონერი, ლანჩხუთის რაიონი
- 545. ვლადიმერ ნესტორის ძე **კვიციანი** — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის საამქროს კონტროლიორი
- 546. ბექტორ ვარდენის ძე **კვიციანი** — პენსიონერი, ქ. თბილისი
- 547. გრიგოლ ათანასეს ძე **კიზირია** — პენსიონერი, ცხაკაიას რაიონი
- 548. გიორგი თამაზის ძე **კიკაჩიანი** — პენსიონერი, სამტრედიის რაიონი



549. პლატონ ვასილის ძე კიკნაძე — პენსიონერი, ორჯონიკიძის რაიონი
550. ალექსანდრე ივანეს ძე კილასონია — ბათუმის ცენტრალური ობობაზის ოპერატორი
551. ხარიტონ ივანეს ძე კილასონია — ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სამოსწავლო კომბინატის უფროსი
552. არტემ მიხეილის ძე კილაძე — პენსიონერი, ლანჩხუთის რაიონი
553. სერაფიონ ქიშვარდის ძე კილაძე — პენსიონერი, ლანჩხუთის რაიონი
554. გერასიმე ქიშვარდის ძე კილაძე — პენსიონერი, ქ. თბილისი
555. ამბერკი ივანეს ძე კილაძე — პენსიონერი, მახარაძის რაიონი
556. მირიან პავლეს ძე კილაძე — პენსიონერი, ქ. ბათუმი
557. ვლადიმერ გიორგის ძე კილაძე — მახარაძის რაიონის სოფელ სილაურის კოლმეურნეობის წევრი
558. მიხეილ პავლეს ძე კილაძე — პენსიონერი, ქ. ბათუმი
559. ალექსანდრე ისაკის ძე კილაძე — მახარაძის რაიონის სოფელ ზვანის კოლმეურნეობის წევრი
560. ისაკ ქიშვარდის ძე კილაძე — მარცხენა ნაპირის „თბილკევებვაჭრობის“ № 46 სასადილოს დირექტორი
561. კახიანე ტარიელის ძე კილაძე — კოლმეურნე, მახარაძის რაიონი
562. ზინაიდა ალექსანდრეს ასული კიპარისისი — პენსიონერი, ქ. ბათუმი
563. გიორგი ბასას ძე კიტუანი — პენსიონერი, ქ. სოხუმი
564. იაკინთე იოსების ძე კობალავა — პენსიონერი, მახარაძის რაიონი
565. სტეფანე იოსების ძე კობახიძე — პენსიონერი, ამბროლაურის რაიონი
566. ილარიონ ანდრეას ძე კობახიძე — პენსიონერი, ამბროლაურის რაიონი
567. პორფილე სიმონის ძე კობახიძე — პენსიონერი, ქ. თბილისი
568. სერაფიონ ტრიფონის ძე კობზიანიძე — პენსიონერი, ქ. ქუთაისი
569. ირაკლი შვეპარდენის ძე კობიძე — პენსიონერი, ჩოხატაურის რაიონი
570. ფეოდოსია გიორგის ასული კობიძე — პენსიონერი, ქ. თბილისი
571. დავით იოსების ძე კოვანოვსკი — პენსიონერი, ქ. თბილისი
572. ვასილ ივანეს ძე კოვალევი — ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს რევიზორი
573. დავით ანდრეას ძე კოვზირიძე — პენსიონერი, ქ. ქუთაისი
574. პორფილე გრიგოლის ძე კოზაევი — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს სახანძრო-საკაბელო კვანძის შემომკვლელი ქ. თბილისი
575. თევდორე მურდოს ძე კოზაევი — პენსიონერი, ლენინგორის რაიონი
576. არჩილ გიორგის ძე კოზაევი — სტალინორის რაიონის სოფელ ძარის კოლმეურნეობის წევრი
